

იმ შემთხვევაში, თუ განცხადებას წერს უშუალოდ დაინტერესებული პირი, შეავსეთ განცხადების ფორმა N2, ამობეჭდეთ, მოაწერეთ ხელი და თან დაურთეთ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ◆ დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;
- ◆ დაინტერესებული პირის მიერ სახელის და/ან გვარის შეცვლის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ◆ საგანმანათლებლო დაწესებულებისა ან მისი უფლებამონაცვლის მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი აქტების სათაური, ნომრები და გამოცემის თარიღი;
- ◆ საგანმანათლებლო დაწესებულებისა ან მისი უფლებამონაცვლის მიერ გაცემული შუამდგომლობა, სადაც პირმა დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა;
- ◆ დაინტერესებული პირის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის, დასრულებისა და კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე აქტების დამოწმებული ასლები.

შენიშვნა:

- ◆ იმ შემთხვევაში, თუ ზემოჩამოთვლილი დოკუმენტაცია შედგენილია უცხოურ ენაზე, წარმოდგენილი უნდა იქნას მათი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის ასლები;
- ◆ იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც დაასრულა მოქალაქემ, არ ჰყავს უფლებამონაცვლე, 1-2 პუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლებამოსილი ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მიღებული განათლების ფაქტის აღიარების თაობაზე. იმ პირების განათლების აღიარებას, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლებისა და კვალიფიკაციის დადასტურებას, ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (მის: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. 1);
- ◆ სკანირებული განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადმოაგზავნეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@emis.ge.

დაბეჭდილი სახელობო განათლების სერტიფიკატებისა და საშუალო პროფესიული დიპლომების დუბლიკატების გაცემა იწარმოებს ყოველ ორშაბათს 12:00 საათიდან 15:00 საათამდე.

ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ ამობეჭდოთ და შეავსოთ ქვემოთ
მითითებული განცხადების ფორმა N3, მოაწეროთ ხელი და პირადობის დამადასტურებელი
მოწმობის ასლთან ერთად გადმოაგზავნოთ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
info@emis.ge